ადრესატი:

ნუგზარ ჯამბურია
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**63-63233076**
თარიღი: **03/11/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ ნუგზარ ჯამბურიას,

ამავე საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი ლეჟავას

ანგარიში 2023 წლის იანვრიდან ოქტომბრის თვის ჩათვლით,

გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ სოფელი დიდი ჯიხაიში საქართველოს ერთერთი დიდი და მდიდარი კულტურული ტრადიციების მქონე სოფელია. მისი ფართობი 52 კვ.მ. მოსახლეობის რაოდენობა 1400 კომლს და 4050 პირს შეადგენს.

ჩემი, როგორც დეპუტატის უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია სოფლის მცხოვრებლებთან აქტიური კომუნიკაცია.

მოსახლეობის უშუალო მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში ვცდილობ გავუწიო მოსახლეობას გამჭვირვალე და კარგი მომსახურეობა. მიუხედავად ჩემი მცდელობისა მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ დაბალია მოქალაქეთა ჩართულობა სოფელში არსებული პრობლემების მოგვარებაში. მათი რეაქცია არ სცდება პოსტებს სოციალურ ქსელებში, რომელიც ხასიათდება სპონტალურობით. არის ერთჯერადი და არ სდევს თანამიმდევრობა.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ხალხს არ უყვარს, როდესაც ჭკუას ასწავლიან, მათ ეკითხებიან. აქედან გამომდინარე ვცდილობ ახლოს ვიყო ხალხთან. მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას. სოფელში ძირითადი გზები 45 კმ-ია. დღეისათვის მოასფალტებულია 30 კმ. 2022-23 წლებში დაიგო 17 კმ ასფალტო ბეტონის საფარი. (N8,9 10,11, 12, 16, 17, 18, 21, 23, 31, 32, 33, 34,37,38,40,45). დარჩენილია 15 კმ.მათგან. დაპროექტებულია და მოწონებულია N41,30,28,19,20,4,5, ქუჩების მოასფალტება. სულ 6,5 კმ. დარჩენილია N6,7,13,15,21,25,42,44 ქუჩების პროექტირება. სულ 7,5 კმ.

ასევე ჩვენი ყურადღების არეალშია ქუჩების ღამის განათების მოწყობა. აღნიშნული ძირითადად ხორციელდება სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხით. თანხა იმდენად მწირია(20 000 ლარი), რომ წლის განმავლობაში ვახერხებთ, მხოლოდ 2 ქუჩის განათებას.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ სოფელში 45 ქუჩაა და წარმოიდგინეთ ამ ტემპით რამდენი წელი დასჭირდება ყველა ქუჩის განათებას.

,,ქართული ოცნების“ მმართველობის უპირველესი საბრუნავია ადამიანი, მისი ჯანმრთელობა და უკეთესი მომავალი. ყოველივე ამის გათვალისწინებით ხორციელდება სხვადასხვა სახის სამედიცინო დახმარებები ოპერაციების, გამოკვლევების თანადაფინანსება, ერთჯერადი ფინანსური დახმარებები მიმდინარე

წლის 10 თვეში ასეთი დახმარებით ისარგებლა 178 პირმა. ჩემი როგორც, მაჟორიტარი დეპუტატის ჩართულობით სოფელში ხორციელდება არაერთი კულტურული მასობრივი ღონისძიება. ყოველწლიურად ეწყობა ,,ნიკოობა," დღი, სასკოლო და საბაღო ღონისძიებები.

მინდა შევეხო რამდენიმე პრობლემას, რომელიც დგას სოფლის წინაშე და რომლის დროული გადაწყვეტას ითხოვს ამომრჩეველი. ერთერთი შიდა საუბნო არხების გაწმენდა დაღრმავება, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზების მოხრეშვა. სერგეთის ისტორიული მინდვრის შემოღობვა. საშუალო სკოლის სპორტული დარბაზის რემონტი. ყაზბეგის უბნის სკოლაში სველი წერტილების მოწესრიგება. კოლეჯში მიმდინარე სამუშაოების განახლება. (ამჟამად მშენებლობა შეჩერებულია).

წლების განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემად რჩება სოფლიდან მოსახლეობის განსაკუთრებით ახალგაზრდების, მიგრაციის საკითხი.

ვცდილობთ და მომავალშიც ცდას არ დავაკლებთ, რათა კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ სოფლის მცხოვრებთა უკეთესი ხვალინდელი დღისთვის.

გიორგი ლეჟავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია-
შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე